ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი 23.09.2022 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე; გიორგი იმნაიშვილი, კახა თედორაძე, ლოლიტა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ზაზა წულაძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გივი ცინცაძე, ემზარ თევდორაძე, ელისო ჭიჭინაძე, ჯუმბერ ბლაგიძე.
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.**

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: 233733984) ლიკვიდაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე: 5 ; წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. ,,ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: 233733984) ლიკვიდაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ:233733984) ლიკვიდაცია.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ: 233733984) ლიკვიდაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 5; წინააღმდეგი: არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა **ლოლიტა ურუშაძემ** გამოთქვა მოსაზრება მუნიციპალიტეტში დაწესდეს ფასიანი პარკინგები რაც გამოიწვევს ადგილობრივი მცხოვრებლების დასაქმებას და ადგილობრივ ბიუჯეტში გაიზრდება შემოსავალი. სასურველია ტაქსის მძღოლებს დაუწესდეს მოსაკრებელის გადახდა რაც გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის გაზრდას.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფლებში სადაც არ არის მინისტადიონები მაგ: შუხუთი, ჭყონაგორა, ჩოჩხათი და ა.შ. საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით მოეწყოს მინისტადიონები.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N8

ქ. ლანჩხუთი

23.09.2022 წ.
14.00 საათი

2022 წლის 23 სექტემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: 233733984) ლიკვიდაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. ,,ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: 233733984) ლიკვიდაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

23.09.2022 წელი
14:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	13^{55}	[signature]
2.	ემზარ თევდორაძე	—	არ ესწრება
3.	სპარტაკ კვაჭაძე	13^{55}	[signature]
4.	ელისო ჭიჭინაძე	—	არ ესწრება
5.	კახა თედორაძე	14^{00}	[signature]
6.	ლოლიტა ურუშაძე	13^{55}	[signature]
7.	ზაზა წულაძე	13^{55}	[signature]
8.	გივი ცინცაძე	—	არ ესწრება
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	—	არ ესწრება